

**პროგრამის სახელწოდება:** ფსიქოლოგია

**საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფსიქოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

**პროგრამის ხანგრძლივობა:** 8 სემესტრი

**სწავლების ენა:** ქართული

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესაბამისად.

#### პროგრამის მიზნები

სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიის დარგების ძირითადი დისციპლინებისა და მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ საბაზო თეორიული ცოდნის დაუფლება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ფსიქოლოგიის ბაკალავრის სპეციალისტის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარისა და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარების განვითარება. სტუდენტისთვის მყარი საფუძვლის შექმნა ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამების უკეთ დაუფლებისათვის.

#### პროგრამის შედეგები

კრიტიკულად **გაიაზრებს** ფსიქოლოგიაში დამკვიდრებულ თეორიულ მიდგომებს, ძირითად ცნებებს, დარგის პრობლემატიკას, კონსტრუქტებსა და მათი გამოყენების კონტექსტს;

**ხსნის** ფსიქოლოგიის პროფესიის სოციალურ მნიშვნელობას, მისი საქმიანობის მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს;

**იყენებს** ლოგიკური, შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების, ფსიქოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელ სხვა შემეცნებით, ასევე პრაქტიკულ უნარებს ფსიქოლოგიის კომპლექსური საკითხებისა და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;

**იყენებს** ფსიქოლოგიის მეცნიერებაში არსებულ კვლევის მეთოდებს (როგორც აპრობირებულს, ისე ცალკეულ უახლესს) და **ქმნის** კვლევით ნაშრომს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

**გამოაქვს** ეთიკური პასუხისმგებლობით განპირობებული დასკვნები სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის, ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და რეკომენდაციის გაცემის დროს, ასევე კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში;

**გამოიკვლევს** კონკრეტულ შემთხვევას, **აკვირდება** ქცევას, **ახდენს** მის კლასიფიცირებასა და ანალიზს, **შეიმუშავებს** პრობლემის ირგვლივ პროფესიულ ხედვას და **პროგნოზირებს** სიტუაციას; საკვლევო საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებით, **ამუშავებს** ფსიქოლოგიის სფეროს მეცნიერულ ლიტერატურას, **მოიძიებს** რელევანტურ მონაცემებს და **განმარტავს და აანალიზებს** მათ; **აყალიბებს** მოსაზრებებს ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, ზეპირი და წერიტი ფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენებით; **ამყარებს კომუნიკაციას** ინგლისურ ენაზე პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### სტუდენტის მიღწევების შეფასება

#### შეფასების ფორმები:

შუალედური (მრავალჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50%

დასკვნითი (ერთჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების არაუმეტეს 50%

*შენიშვნა: ჯამური შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.*

#### შეფასების კომპონენტი (შეფასების ხერხი):

ზეპირი/წერიტი გამოკითხვა - ყოველკვირეული აქტივობა

ზეპირი/წერიტი შეფასება - თეორიული/პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის წარმოდგენა

წერიტი გამოცდა - შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდები

#### შეფასების მეთოდები (შეფასების საშუალება):

დისკუსიაში მონაწილეობა, ტესტი, პრეზენტაცია, ქეისის ამოხსნა, როლური თამაში, სხვ.

რეფერატი, პრეზენტაცია, სხვ.

თეორიული დავალების შესრულება, პრაქტიკული სამუშაოს მომზადება, სხვ.)

#### შეფასების კრიტერიუმი:

შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

- შუალედური (სასწავლო კურსში მისი გათვალისწინების შემთხვევაში) და დასკვნითი გამოცდის კომპონენტი სავალდებულოა. სავალდებულო სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სხვა კომპონენტ(ებ)საც, რაც აისახება შესაბამის სილაბუსში
- შეფასების თითოეულ ფორმას/კომპონენტს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც, სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით, სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც:

სავალდებულო კომპონენტ(ებ)ში მინიმალური დადებითი ქულა აქვს მოპოვებული (სადაც ამგვარი კომპონენტ(ებ)ი გათვალისწინებულია) და შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა, ანუ სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს ამა თუ იმ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული მინიმალური დამშვები ქულა

**შენიშვნა:** შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქონდეს სტუდენტის მიღწევების შეფასების აქ მითითებულისგან განსხვავებული კომპონენტი.

### **პრაქტიკის შეფასება**

პრაქტიკის შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტის მიღწევების შეფასების 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად, რომლის თანახმად მაქსიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 100 ქულას, ხოლო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადია და ხდება სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული აქტივობის და მის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე.

### **პრაქტიკის ობიექტზე შეფასების კრიტერიუმები და ქულები (მაქს. 60 ქ.):**

მოტივაცია და მიზანდასახულობა - 12 (მაქს. ქულა)

სამუშაო ეთიკის დაცვა - 12 (მაქს. ქულა)

ინიციატივის გამოვლენა და ორგანიზების უნარი - 12 (მაქს. ქულა)

პრაქტიკის ობიექტზე დავალების შესრულება - 12 (მაქს. ქულა)

კომუნიკაციის უნარი - 12(მაქს. ქულა)

### **პრაქტიკის ანგარიშის შეფასების კრიტერიუმები და ქულები (მაქს. 40ქ.):**

ფორმალური მხარე - 5 (მაქს. ქულა) (ანგარიში შედგენილია სილაბუსით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით (სტრუქტურა, მოცულობა, გაფორმება, მტკიცებულებები))

შინაარსობრივი მხარე:

1) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი - 15 (მაქს. ქულა) (პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების შესაბამისობა პრაქტიკის მიზნებთან; პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს კრიტიკული ანალიზის და შეფასებების ადეკვატურობა და ობიექტურობა; შესრულებული სამუშაოს და მიღწეული შედეგების აღწერა და შესაბამისი მაგალითების

მოყვანა; შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების მეშვეობით განვითარებული კონკრეტული უნარების ჩამოთვლა და აღწერა, წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის მათი მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება);

2) დასკვნები და რეკომენდაციები - 10 (მაქს. ქულა) (დასკვნები ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, ასახავს პრაქტიკის მიზნებს და წარმოადგენს პრაქტიკის შედეგების არგუმენტირებულ შეჯამებას, რეკომენდაციები განვითარებაზეა ორიენტირებული) პრეზენტაცია - 10 (მაქს. ქულა) (პრეზენტაცია ეფექტურია, სტუდენტს შეუძლია შესრულებულ სამუშაოზე თავისუფლად და დამაჯერებლად საუბარი, პრაქტიკის შედეგების განზოგადება, მოსაზრებების არგუმენტირება და დაცვა, კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა) პრეზენტაცია - 10 (მაქს. ქულა) (პრეზენტაცია ეფექტურია, სტუდენტს შეუძლია შესრულებულ სამუშაოზე თავისუფლად და დამაჯერებლად საუბარი, პრაქტიკის შედეგების განზოგადება, მოსაზრებების არგუმენტირება და დაცვა, კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა),

### საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

აღნიშნული კომპონენტის შეფასება ერთჯერადია და ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის და რეცენზენტის რეცენზიის გათვალისწინებით, სტუდენტის მიერ მომზადებული საბაკალავრო ნაშრომის და მისი დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრეზენტაციის შეფასებების საფუძველზე. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტის მიღწევების შეფასების 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად, რომლის თანახმად მაქსიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 100 ქულას, ხოლო დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.

### საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და ქულები (მაქს. 100 ქ.)

- ნაშრომის არქიტექტონიკა - 6 ქულა
- დასახული მიზნებისა და კვლევის შედეგების ურთიერთშესაბამისობა - 10 ქულა
- გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და რელევანტურობა - 10 ქულა
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა - 10 ქულა
- პრობლემის დასმა და წარმოჩენა - 10 ქულა
- ინფორმაციის ლოგიკური ანალიზის და შეფასების უნარი - 10 ქულა
- დასკვნების არგუმენტირება - 10 ქულა
- კვლევის სოციალურად და ათიკურად განპირობებული შედეგების წარმოდგენა - 10 ქულა
- სადისკუსიო საკითხების ღრმა და ყოველმხრივი წარმოჩენა - 8 ქულა
- დისკუსიის წარმოებისა და პოზიციის დაცვის უნარი - 7 ქულა
- პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია - 5 ქულა
- რეგლამენტის დაცვა - 4 ქულა

### შეფასების სისტემა

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანებით განმტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა

მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 (ას), შესაბამისად მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა.

შეფასება სასწავლო კურსებში:

დადებითი შეფასებები: A (91-100 ქ.) - ფრიადი, B (81-90 ქ.) - ძალიან კარგი, C (71-80 ქ.) - კარგი, D (61-70 ქ.) - დამაკმაყოფილებელი, E (51-60 ქ.) - საკმარისი

უარყოფითი შეფასებები:

- 1) FX (41-50 ქ.) - ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელგასვლის უფლება იმავე სემესტრში იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;
- 2) F (0-40)- ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს რომელიმე მომდევნო სემესტრში და ჩააბარებს დასკვნით გამოცდას.

პრაქტიკის შეფასება:

დადებითი შეფასებები: A (91-100 ქ.) - ფრიადი, B (81-90 ქ.) - ძალიან კარგი, C (71-80 ქ.) - კარგი, D (61-70 ქ.) - დამაკმაყოფილებელი, E (51-60 ქ.) - საკმარისი

უარყოფითი შეფასებები:

- 1) FX (41-50 ქ.) - ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს პრაქტიკის ანგარიშის დასაცავად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით შედეგის გაუმჯობესებისა და დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- 2) F (0-40) - ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პრაქტიკა მომდევნო სემესტრში ახლიდან აქვს გასავლელი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება:

დადებითი შეფასებები: ფრიადი (summa cum laude) (91-100 ქ.), ძალიან კარგი (magna cum laude) (81-90 ქ.), კარგი (cum laude) (71-80 ქ.), საშუალო (bene) (61-70 ქ.), დამაკმაყოფილებელი (rite) (51-60 ქ.)

უარყოფითი შეფასებები:

- 1) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) (41-50 ქ.) - ნიშნავს, რომ ნაშრომი წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს, მაგისტრანტს კრედიტის მოსაპოვებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ენიჭება მომდევნო სემესტრში გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- 2) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) (0-40) - ნიშნავს, რომ ნაშრომი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და ის კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

#	სასწავლო კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	კრედიტი	საათი	საათების განაწილება									სასწავლო სემესტრი								
					საკონტაქტო საათები									დათუქვნილი საათები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	ჯ.მ.	პრაქტიკული	სემინარი	გამოცდა	ნტანდარტ/სხვა	დისკუსია	გამოცდა	საკონტაქტო საათები (სულ)									
					6	7	8	9	10	11	12	13	14									
<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>6</b>	<b>7</b>	<b>8</b>	<b>9</b>	<b>10</b>	<b>11</b>	<b>12</b>	<b>13</b>	<b>14</b>	<b>15</b>	<b>16</b>	<b>17</b>	<b>18</b>	<b>19</b>	<b>20</b>	<b>21</b>		
<b>1. სავალდებულო კომპონენტები</b>																						
<b>თავისუფალი სასწავლო კურსები (50 კრ.)</b>																						
<b>1,1</b>	ინგლისური ენა 1		5	125			52	1	3	4	60	65	X									
<b>1,2</b>	ინგლისური ენა 2	1,1	5	125			52	1	3	4	60	65		X								
<b>1,3</b>	ინგლისური ენა 3	1,2	5	125			52	1	3	4	60	65			X							
<b>1,4</b>	ინგლისური ენა 4	1,3	5	125			52	1	3	4	60	65				X						
<b>1,5</b>	პროფესიული ინგლისური ენა ფსიქოლოგებისთვის 1	1,4	5	125			52	1	4	3	60	65					X					
<b>1,6</b>	პროფესიული ინგლისური ენა ფსიქოლოგებისთვის 2	1,5	5	125			52	1	4	3	60	65						X				
<b>1,7</b>	საინფორმაციო ტექნოლოგიები		5	125	13		26	1	3	2	45	80	X									
<b>1,8</b>	ზეპირი და წერიტი კომუნიკაციები		5	125	13	26		1	5	2	47	78	X									
<b>1,9</b>	ფილოსოფიის საფუძვლები		5	125	13	26		1	6	2	48	77	X									
<b>1,10</b>	სოციოლოგიის საფუძვლები		5	125	13	26		1	4	2	46	79	X									
<b>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები/კომპონენტები (120 კრ.)</b>																						
<b>1,11</b>	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1		4	100	13	26		1	3	2	45	55	X									
<b>1,12</b>	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	1,11	4	100	13	26		1	3	2	45	55		X								
<b>1,13</b>	განვითარების ფსიქოლოგია		5	125	13	26		1	4	3	47	78		X								
<b>1,14</b>	სოციალური ფსიქოლოგია	1,11	5	125	13	26		1		3	43	82		X								
<b>1,15</b>	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში	1,12	6	150	26	26		1	3	2	58	92		X								
<b>1,16</b>	ნეიროფიზიოლოგიის საფუძვლები		6	150	26	26		1	3	3	59	91		X								
<b>1,17</b>	სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში		5	125	13	26		1		3	42	83			X							
<b>1,18</b>	კოგნიტიური ფსიქოლოგია	1,12	5	125	13	26		1	3	3	46	79			X							
<b>1,19</b>	პიროვნების ფსიქოლოგია	1,12	5	125	13	26		1	3	3	46	79			X							

1,20	განწყობის ფსიქოლოგია	1,14	5	125	13	26		1	3	2	45	80			X				
1,21	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები		5	125	13	26		1	3	3	46	79			X				
1,22	კვლევის მონაცემთა დამუშავება SPSS-ით	1,7	4	100	13	26		1	4	2	16	54			X				
1,23	განათლების ფსიქოლოგია		5	125	13	26		1	4	3	47	78			X				
1,24	ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	1.12, 1.18	6	150	26	26		1	3	3	59	91			X				
1,25	ორგანიზაციისა და მართვის ფსიქოლოგია		5	125	26	13		1		2	42	85			X				
1,26	ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები	1,10	5	125	13	26		1	5	3	48	77			X				
1,27	კონფლიქტის მართვის ფსიქოლოგია		5	125	19	13	7	1		2	42	83				X			
1,28	ფსიქოთერაპიის საფუძვლები	1,12	5	125	13	26		1	4	3	46	79				X			
1,29	ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	1.12, 1.18, 1.15, 1.17	5	125	8	25	6	1	4	4	48	77				X			
1,30	ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები	1,12	5	125	13	26		1	4	3	46	79				X			
1,31	საბაკალავრო ნაშრომი	1.1-1.8, 1.11- 1.30	10	250							49	201							X
1,32	პრაქტიკა	1.5-1.8, 1.11- 1.30	10	250							245	5							X
<b>2. არჩევითი კომპონენტები</b>																			
<b>ძირითადი სწავლის სფეროს კურსები (35-70 კრ.)</b>																			
2,1	ფსიქოლოგიის ისტორია		5	125	13	26		1	5	3	48	77				X			
2,2	გენდერის ფსიქოლოგია	1.12, 1.13	5	125	13	26		1	6	2	48	77					X		
2,3	იურიდიული ფსიქოლოგია	1,19	5	125	13	26		1	3	2	45	80					X		
2,4	მასის ფსიქოლოგია		5	125	13	26		1	6	3	49	76					X		
2,5	ადამიანური რესურსების მართვა		5	125	26	13		1		2	42	83					X		

2,6	კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები	1,12	5	125	13	26		1	4	3	47	78						X	
2,7	კლინიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	1,12	5	125	18	21		1	4	3	47	78						X	
2,8	ხელოვნების ფსიქოლოგია	1,13	5	125	13	26		1	4	4	48	77						X	
2,9	პოზიტიური ფსიქოლოგია	1,12	5	125	13	26		1	4	3	47	78						X	
2,10	ბიზნესის ფსიქოლოგია		5	125	13	26		1	3	2	45	80							X
2,11	სოციალური გავლენა	1,14	5	125	13	26		1	3	2	45	80							X
2,12	რეკლამის ფსიქოლოგია	1,14	5	125	13	26		1	3	2	45	80							X
2,13	კროსკულტურული ფსიქოლოგია	1.12, 1.14	5	125	13	26		1	3	2	45	80							X
2,14	ინკლუზიური განათლება და ფსიქოლოგია	1.13, 1.23	5	125	13	26		1	4	2	46	79							X
2,15	კრიმინალური ქცევა და საგამომიებო ინტერვიუება		5	125	10	31		1	4	4	50	75							X
2,16	წარმატების ფსიქოლოგია		5	125	21	13	5	1		3	43	82							X
2,17	სამხედრო ფსიქოლოგია	1,12	5	125	13	26		1	3	2	45	80							X
2,18	ფსიქოსომატური მედიცინა	1,11	5	125	13	26		1	2	3	47	78							X
2,19	გემტალტერაპიის საფუძვლები		5	125	13	26		1	6	3	49	76							X
2,20	ლიდერობის ფსიქოლოგია		5	125	13	26		1	3	3	46	79							X
2,21	პოლიტიკური ფსიქოლოგია	1,14	5	125	13	26		1	6	3	49	76							X
2,22	გარემოს ფსიქოლოგია	1,14	5	125	13	26		1	3	2	45	80							X
<b>თავისუფალი არჩევითი კურსი (0-35 კრ.)</b>																			
2,23	ფრანგული ენა 1		5	125			52	1	3	4	60	65						X	
2,24	ფრანგული ენა 2	2,23	5	125			52	1	3	4	60	65						X	
2,25	ფრანგული ენა 3	2,24	5	125			52	1	3	4	60	65							X
2,26	ფრანგული ენა 4	2,25	5	125			52	1	3	4	60	65							X
2,27	გერმანული ენა 1		5	125			78	2	2	4	86	39						X	
2,28	გერმანული ენა 2	2,27	5	125			78	2	2	4	86	39						X	
2,29	გერმანული ენა 3	2,28	5	125			78	2	2	4	86	39							X
2,30	გერმანული ენა 4	2,29	5	125			78	2	2	4	86	39							X



2,31	რუსული ენა 1		5	125			52	2	3	4	61	64					X				
2,32	რუსული ენა 2	2,31	5	125			52	2	3	4	61	64						X			
2,33	რუსული ენა 3	2,32	5	125			52	2	3	4	61	64							X		
2,34	რუსული ენა 4	2,33	5	125			52	2	3	4	61	64								X	
2,35	ჩინური ენა 1		5	125	13		39	2	2	4	60	65					X				
2,36	ჩინური ენა 2	2,35	5	125	13		39	2	2	4	60	65						X			
2,37	ჩინური ენა 3	2,36	5	125	13		39	2	2	4	60	65							X		
2,38	ჩინური ენა 4	2,37	5	125	13		39	2	2	4	60	65								X	
2,39	დემოკრატია და მოქალაქეობა		5	125	13	26		1	3	3	46	79					X				
2,40	საჯარო გამოსვლის ტექნიკა		5	125	13	26		1	4	2	46	79						X			
2,41	ტრენინგის მართვის ხელოვნება		5	125	13	26		1	4	8	52	73							X		
2,42	პროექტების მართვა		5	125	26	13		1	3	2	45	80							X		
2,43	რეკრუტირება		5	125	21	18		1	3	2	45	80							X		
2,44	თავისუფალი სასწავლო კურს(ებ)ი სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან																X	X	X	X	
<b>კრედიტები სემესტრების მიხედვით:</b>													<b>29</b>	<b>31</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>სულ კრედიტები:</b>													<b>240</b>								
<p>შენიშვნა: 1) სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც მოცემული პროგრამით განსაზღვრული (2.23-2.43), ისე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი სასწავლო კურსები სწავლების მე-5 სემესტრიდან, შესაბამისი წინაპირობის დაცვით; 2) სტუდენტს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული ოთხი მეორე უცხო ენიდან ნებისმიერი ერთი შემდგომ მისი სხვა მეორე უცხო ენით შეცვლის უფლების გარეშე.</p>																					